ფონდი ოპისი საქმე ფურცელი

287 1 211

287 1 211

დასკანირებულია
16 01 2025

წერილი რედაქციას

რატომ ვერ ვლებულობთ მეთოდურ ლიტერატურას?

უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენადმე გაუმჯობესდა პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოცემის საქმე.

მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ცალკეული წიგნები, განსაკუთრებით კი მეთოდური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც უკვე დიდი ხანია ბაზარზე გამოვიდა, ვერ აღწევს ზოგიერთ რაიონამდე.

ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებულ პედაგოგიურ კაბინეტს ჯერ-რაც არ მიუღია ისეთი აუცილებელი წიგნები, როგორიცაა: გასულ წელს გამოცემული დოც. ა. თოფურიას „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ (I ნაკვეთი), დოც. ანტ. კიზირიას „ქართული ენის ფონეტიკისა და ორთოლოგიის პრაქტიკუმი“ და სხვ.

ჩვენი რაიონის სკოლების მასწავლებლები თუ სხვა დაინტერესებული პირები ხშირად იძულებული ხდებიან საჭირო ლიტერატურას გაეცნონ მხოლოდ დედაქალაქის წიგნსაცავებში, რაც გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის.

ნ. ლემონჯავა.

„ქართული ენა“, 1958 წ.

როგორც ცენტრალური პრესა იუწყება, ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში უკვე დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ყველგან დიდი პოლიტიკური აღმავლობით, მაღალი აქტივობით და საქმიან ვითარებაში ტარდება მუშების. მოსამსახურეთა, კოლმეურნეებისა და საბჭოთა ინტელიგენციის ხალხმრავალი კრებები, რომლებზედაც საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების შესაბამისად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლ ადამიანებს, რომელთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებები ფართოდაა ცნობილი მასებში.

პირველ წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმულად დაასახელეს გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები **კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ი. კირიჩენკო, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ს. ხრუშჩოვი.** მათთან ერთად ჩვენს რესპუბლიკაში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე **ნ. გ. იგნატოვი, ე. ა. ფურცევა, ვ. პ. მჟავანაძე.**

ამ საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეების გვერდით ხალხმა თავისი წიაღიდან წამოაყენა ნიჭიერ, შრომისმოყვარე რიგით ადამიანთა კანდიდატები. ასეთე-